საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მილახვარი

მილახვარი, სამეურნეო დარგის მოხელე XVIII ს. საქართველოში, საპატიო და გავლენიანი თანამდებობის პირი. ცნობილია ქართლისა და კახეთის სამეფოების, დედოფლისა და ბატონიშვილის მ-ები. მ. განაგებდა სამეფო თუ სადედოფლო მამულებს, მონაწილეობდა საფინანსო, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტაში. მ-ისა და სახლთუხუცესის ფუნქციები ძალიან იყო დაახლოებული. მ-ის სახელო არსებობდა საფეოდალოებშიც.

ლიტ.: ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1952.